



სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტრენინგი “სტრესის მართვა და თანამედროვე ფსიქოტექნოლოგიები” გაიმართა. სამ დღიანი ტრენინგი უნივერსიტეტის ბაზაზე შექმნილი ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარდა. ტრენინგში მონაწილეობა სოხუმის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის სპეციალობის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დამამთავრებელი კურსის 12-მა სტუდენტმა მიიღო. “ტრენინგები ძალიან საინტერესო იყო. ვფიქრობთ, თანამედროვე ცხოვრებაში, სადაც სტრესული მდგომარეობები ძალიან ხშირია, აუცილებელია, ადამიანებმა სტრესთან გამკლავების მეთოდები ვიცოდეთ. კარგი იქნება თუ მსგავსი ტრენინგები მომავალშიც ჩატარდება”, - განაცხადა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა ელგუჯა ქავთარაძემ. ჩატარებული ტრენინგებით კმაყოფილი იყვნენ თავად მონაწილეებიც. “ტრენინგები იყო ძალიან საინტერესო, იმდენად, რამდენადაც ბევრი რამ შევიტყვეთ სტრესის შესახებ. თურმე სტრესს როგორც უარყოფითი, ისე დადებითი მხარეებიც გააჩნია. ამიტომ ძალიან კარგი იქნება, თუ მსგავს ტრენინგებს სისტემური მხარე მიეცემა”, - აღნიშნა ტრენინგის ერთ-ერთმა მონაწილემ, სსუ-ის სოციალურ-პილიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მეოთხე კურსელმა გვანცა დანელიამ. ცნობისთვის, ტრენინგს “პიროვნების ფსიქოფიზიკური და სოციალური პოტენციალის ჰარმონიული განვითარების ცენტრის” წარმომადგენელი ზურაბ ქარჩავა უძღვებოდა.